

ახალი თემატა



საკრებულოს თავმჯდომარეს პროკურატურაში დაიბარებენ?

მერია დიდი წმენდის
მოლოდინში



პარასკევი, 2 ოქტომბერი, 2015

№231 (6851)

ფასი: 30 თეთრი

ნიკა გვარამია: „ხელისუფლებამ რუსთავი 2 დახურა“



კეზერაშვილის
ცოლისძმა
ტელეკომპანიაში
6 მილიონის
ჩადებას
აპირებდა



რა ხდება რუსთავი 2-ში?

„მარგველაშვილი
პრაზიდეტად
ქნეს ისევ იყრის“



ირაკლი ღარიბაშვილი:
„ჩვენ გვაქვს
დიდი გული და უფრო
დიდი ოცნებები“

სუზარ ჩოჩელი:
„თავურ ჭყონია
ისტერიკაში“



„გამიჩნდა ეჭვი,
რომ კოკა კოლას
აღრიცხვიანობის
პრობლემა აქვს“



„რუსეთთან
დიალოგის
იგნორირება იმ
დროს, როცა
რუსეთის გავლენა
მსოფლიოში
უმნიშვნელოვანესია,
თვითმკვლევლობა“




ვახტანგ გომელაური
საქართველოში აუბ-ის
ელჩს შეხვდა

ნიმე ბურჯანაძე თინა ხიდაშელის წინააღმდეგ



ISSN 1987-9385
9 771987 938006



ლევან კობიაშვილი: „ვიცი, რომ გავიარაჯვებ!“

დასაწყისი მე-12 გვერდზე
მებით, რომელთაც ევროპის მმართველი ორგანო იძლევა. ეს იყო პირველი შეცდომა და არასწორად აღებული ფული, რომელიც არავის საკუთრება არ არის და უნდა მოხმარებოდა ფეხბურთის აღორძინებას. ისიც ვიცი, რომ ზვიად სიჭინავასაც დახვდა ვალი და უფრო მეტი. პირველ შემთხვევაში ვიცეპრეზიდენტი რევაზ არველაძე იყო, შემდეგ კი - გენერალური მდივანი. ამიტომ ყველა შემთხვევაში პასუხისმგებელი იყო.

- საფეხბურთო სამყაროში სპონსორებიც საჭიროა. ამ კუთხით რას აპირებთ?

- პირველ რიგში, ქართული ფეხბურთი უნდა გახდეს საინტერესო და ნაღობი დაიბრუნოს, თუმცა, რა კერძო სექტორზეა საუბარი, როდესაც მათ ვრიცხავთ საფეხურთო სამყაროდან. პირიქით, მეტი უნდა მოვიზიდოთ და მოვიძიოთ. სისტემა შეიცვლება და მიდგომაც შეიცვლება. დღევანდელ ფედერაციაში არის ბევრი ისეთი ადამიანი, რომელსაც ფუნქცია არ აქვს. მაგალითად, რას აკეთებს ვიცეპრეზიდენტი

გია ფირცხალავა? როგორც ვიცი, მისი ფუნქცია ბოლო დროს მხოლოდ ის იყო, რომ უფვაში გასაგზავნი წერილები ეწერა.

- შესაძლებელია, ეროვნული ჩემპიონატი უფრო კონკურენტუნარიანი გახდეს?

- ეს ერთ-ერთი პრიორიტეტია. აუცილებლად უნდა გაძლიერდეს. უნდა შეიქმნას სამუშაო ჯგუფი და გუნდური პრინციპი უნდა მოქმედებდეს. დიალოგებით ბევრი რამის გადაწყვეტა შეიძლება. ფედერაციასა და კლუბებს შორის კომუნიკაცია უნდა არსებობდეს. 3 ოქტომბერს ბევრი რამ უნდა გადაწყდეს ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ.

- საქართველოს ნაკრების მწვრთნელზე რას იტყვით და შესაძლებელი ხომ არ არის მისი კონტრაქტის გადახედვა?

- ვინც არ უნდა ყოფილიყო ფედერაციის პრეზიდენტი, კახა ცხადაძე ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე ერთ-ერთი კანდიდატი იქნებოდა და არასერიოზულია, მასზე რამე ვთქვა.

ქართული წყალბურთელები ევროპის პირველობაზე გავიდნენ

საქართველოს წყალბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა ისრაელში, ქალაქ ნეთანიაში გამართული 2016 წლის ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ტური წარმატებით დაასრულა და ევროპის ჩემპიონატზე თამაშის უფლება ზედიზედ მეორედ მოიპოვა.

ისრაელიდან დაბრუნების შემდეგ საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებსა და მწვრთნელებს, ფედერაციის ხელმძღვანელობასთან ერთად, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი და მინისტრის მოადგილე შალვა გოგოლაძე შეხვდნენ და წარმატება მიულოცეს.

ქართველმა წყალბურთელებმა შესარჩევი ტურის ე ჯგუფში ფავორიტ პოლანდიასთან ფრედ 5:5 ითამაშეს, ხოლო ისრაელი და ლიტვა, შესაბამისად, 17:6 და 18:6 დაამარცხეს და, ჯამში, 2 შესარჩევი ტურის შედეგად მოპოვებული მე-2 გამსვლელი ადგილითა და 13 ქულით სერბეთში გასამართ ევროპის ჩემპიონატზე მოხვდნენ, სადაც 16 უძლიერესი ნაკრები ითამაშებს.

შესარჩევი ეტაპის პირველ ტურში, რომელიც 6-8 თებერვალს თბილისში გაიმართა, საქართველოს ნაკრებმა შვეიცარია (21:9) და პორტუგალია (21:3) დაამარცხა, სლოვაკეთთან კი 10:11 დათმო.

ევროპის ჩემპიონატი ბელგრადში 2016 წლის 10-23 იანვარს ჩატარდება, კენჭისყრა კი 4 ოქტომბერს



გაიმართება, სადაც საქართველოს ნაკრების მეტოქეების ვინაობა გაირკვევა.

კენჭისყრამდე გუნდები კალათებში შემდეგნაირად გადანაწილდნენ:

- 1 კალათა:** სერბეთი, უნგრეთი, იტალია, მონტენეგრო
- 2 კალათა:** ხორვატია, საბერძნეთი, ესპანეთი, რუმინეთი
- 3 კალათა:** რუსეთი, გერმანია, საფრანგეთი, პოლანდია
- 4 კალათა:** მალტა, სლოვაკეთი, საქართველო, თურქეთი

ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრებაზე, 20 ოქტომბრიდან საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ლიგის გათამაშებაში ჩაებება.

ევროპიდან ამ შეჯიბრებაში 12 გუნდი იასპარეზებს. გუნდები ნილისყრით სამ ჯგუფში გადანაწილდნენ. საქართველოს ნაკრები ა ჯგუფში უნ-

გრეთს, რუმინეთსა და საბერძნეთს გაუწევს მეტოქეობას. მატჩები ორ წრედ გაიმართება - შინ და გარეთ თამაშის პრინციპით. ბ ჯგუფში ითამაშებენ სერბეთი, ჩერნოგორია, ესპანეთი და საფრანგეთი, ხოლო ც ჯგუფში - ხორვატია, იტალია, რუსეთი და თურქეთი.

საქართველოს ნაკრები მსოფლიო ლიგაზე პირველ მატჩს 20 ოქტომბერს უნგრეთში გამართავს. ამავე დღეს რუმინეთი საბერძნეთს უმასპინძლებს. მეორე ტურის პაექრობები 17 ნოემბერს არის დაგეგმილი. ჩვენები სტუმრად საბერძნეთს დაუპირისპირდებიან, უნგრელები რუმინელებს მიიღებენ.

1 დეკემბერს საქართველო რუმინეთს მიიღებს, ხოლო საბერძნეთი უნგრეთს დაუხვდება. მეორე წრის შეხვედრები გაისად გაიმართება.

რესპუბლიკელი სტალინის კვლავ აღდგენას მიუღებლად მიიჩნევენ

რესპუბლიკური პარტია სტალინის ძეგლის აღდგენის თაობაზე გორის თვითმმართველობის ორგანოებში გამართულ მსჯელობას კატეგორიულად მიუღებლად მიიჩნევს.

ამის შესახებ რესპუბლიკური პარტიის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

პარტიის განცხადებით, სტალინის ძეგლის აღმართვა, როგორც ფორმალურად განხორციელდეს იგი, ნიშნავს საბჭოთა სიმბოლოს, კომუნისტური ტოტალიტარული იდეოლოგიის ერთ-ერთი შემოქმედის აღიარებასა და პატივისცემას.

რესპუბლიკური პარტია იმედს გამოთქვამს, რომ გორის საკრებულო არ მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც შესაძლოა შეფასდეს, როგორც ტოტალიტარული რეჟიმისადმი ხელისუფლების კეთილგანწყობილი დამოკიდებულება და მისი აღორძინების მცდელობა. ამგვარი გადაწყვეტი-



ლება საქართველოს მოქმედ კანონსა და ევროპის საბჭოს ჩვენთვის სავალდებულო რეზოლუციებს დაარღვევს, რაც საქართველოს ხელისუფლების მიერ განცხადებულ ევროპულ და ევროატლანტიკურ მისწრაფებებს მძიმე დარტყმას მიაყენებს, - ნათქვამია პარტიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ კანონდარღვევით მიღებულ პოლიტიკურად სახიფათო გადაწყვეტილებას რესპუბლიკური პარტია ყველა კანონიერი მეთოდით შეენინაღმდეგება.

ნიუსპრესი

საბურთალო დანიაში წააგო



მიდელიანდი - საბურთალო 3:1
1:0 სტარნი (23), 2:0 ბრევირი (41), 2:1 ბრევირი (52 სპ), 3:1 ნილაინი (84)

მიდელიანდი: ოტესენი, მურბეკი, ნიკოლაისენი, ლაურიტსენი, მუნკსგარდი, გრემერი, რუტიკანგა, ტუჩოსენი (ბრაუნი 90), კირკი (ოლსენი 74), ნისენი, სტერინგი (ტომსენი 64).

საბურთალო: ქურდაძე, ჩაბრძე, მარგველაშვილი, მამუჩაშვილი, ვაჭარაძე, ალთუნაშვილი, ბიძინაშვილი, ხარაიშვილი, გვარაძე, კოსრიძე (ჩო-

გაძე 52), გოშთელიანი.

საფეხბურთო კლუბმა საბურთალომ იუნიორთა ჩემპიონთა ლიგაზე სადებიუტო შეხვედრა გამართა. ქართული გუნდი დანიურ მიდელიანდთან 3:1 დამარცხდა.

პირველი ტაიმი მასპინძლებმა ორბურთიანი სხვაობით მოიგეს, მეორე ნახევარში კი გუნდებმა გოლები გაცვალეს.

როგორც სავარაუდო იყო, მეტოქემ ათლეტური გუნდის შთაბეჭდილება დატოვა. მასპინძლები ხშირად იყენებდნენ საპაერო ორთაბრძო-

ლებს. იმასაც ვერ ვიტყვი, რომ თამაში ფრთხილად გამოდგა, რადგანაც თამაშის დასრულების მოლონობაში სულჯერ დასჭირდა ვიზიდან ყვეთელი ბარათის ამოღება. აქედან სამ შემთხვევაში სკანდინავიელები გააფრთხილა, ორჯერაც - ქართველები.

პირველი ნახევარი 2:0 დასრულდა. ჯერ სტერინგი გაიტანა, ტაიმის ბოლოს კი - გრემერი.

მეორე ტაიმის დებიუტში სხვაობა ერთ ბურთამდე შემცირდა - გრიგოლ ჩაბრძის საჯარიმოში ჩაწოდების შემდეგ გრემერი საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი - 2:1.

72-ე წუთისთვის ჩაბრძეს ანგარიშის გათანაბრება შეეძლო, მაგრამ ხელსაყრელი ეპიზოდი ქარს გაატანა. საბოლოო ანგარიში დანიელებმა 84-ე წუთზე დააფიქსირეს. გოლი ნისენმა გაიტანა.

მიუხედავად იმისა, რომ საბურთალო ორბურთიანი სხვაობით დამარცხდა, განმეორებით შეხვედრაში შეიძლება ამ დეფიციტის აღმოფხვრა და ორი თამაშის ჯამში უპირატესობის მოპოვება.

საბურთალოსა და მიდელიანდის განმეორებითი მატჩი თბილისში 21 ოქტომბერს გაიმართება.

იანვარ-სექტემბერში საქართველოში 4.491.039 ვიზიტი განხორციელდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი წარმოგიდგინებთ საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებულ ვიზიტორთა სტატისტიკურ მონაცემებს გასული თვის მდგომარეობით, კერძოდ:

2015 წლის სექტემბერის თვე 565.663 ვიზიტით განისაზღვრა, რაც 2014 წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელზე 12,6%-ით მეტია.

ამასთან, შემოღებული პირობითი დაყოფის მიხედვით, ხვედრითი წილის ურთიერთმომართება შემდეგია:

ა) ტურისტი - 227.130 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 39,9%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 15,8%);

ბ) ტრანზიტი - 143.258 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 25,2%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 10,4%);

გ) სხვა - 198.275 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 34,9%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 10,8%).

რაც შეეხება იანვარ-სექტემბრის ინტერვალს, ქვეყანაში უკვე 4.491.039 ვიზიტი განხორციელდა, რაც 6,7%-ით მეტია 2014 წლის ანალოგიური საანგარიშო პერიოდის მაჩვენებელზე.

2015 წლის სექტემბერში ყველაზე მეტი ვიზიტი კვლავ თურქეთიდან (+9%), სომხეთიდან (+6,9%), აზერბაიჯანიდან (+6%), რუსეთიდან (+12,6%) და უკრაინიდან (+11,7%) განხორციელდა.

ასევე პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით იანვარ-სექტემბერშიც გამოირჩნენ ლიტვა, დიდი ბრიტანეთი, იტალია, გერმანია და ლატვია (შესაბამისად, 20%, 17%, 12%, 12% და 11%), შუა აზიის ქვეყნებიდან - ყაზახეთი (34%), აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებიდან - ბელორუსია (54%), ახალი აღმოსავლეთიდან - ისრაელი (38%), ხოლო აზიის ქვეყნებიდან - არაბთა გაერთიანებული საემიროები 814% და საუდის არაბეთი - 84%-იანი მატებით. აქვე აღსანიშნავია ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეების 9%-იანი ზრდა.

საქართველო ზელანდიისთვის დაირაგა

ბორჯღალოსნებმა კარდიფის „მილენიუმზე“ კაპიტნის ვარჯიში გამართეს. ოლ ბლექსთან მატჩი დღეს არის.

ახალი ზელანდიის ნაკრებთან ბორჯღალოსნები ახალი შემადგენლობით წარდგებიან. ისტორიულ მატჩამდე მილტონ ჰეიგმა შემადგენლობა გამოაცხადა. ბორჯღალოსანთა 23-კაციანი რაზმი ასე გამოიყურება:

უკანა ხაზი: ბექა ნიკლაური, გიორგი აფციაური, დავით კაჭარავა, თამაზ მჭედლიძე, სანდრო თოდუა, ლაშა მალალურაძე, გიორგი ზეგაძე;

შერკინება: კახა ასიეშვილი, შალვა მამუკაშვილი, ლევან ჩილაჩავა, ლევან დათუნაშვილი, გიორგი ჩხაიძე, შალვა სუთიაშვილი, მამუკა გორგოძე, ლაშა ლომიძე;

მარჯვენა: მურაზ გიორგაძე, მერაბ შარიძე, ვასილ ლობჯანიძე, სიმონ მაისურაძე, მიხეილ ნარიაშვილი, ანტონ ფეიქრიშვილი, კოტე მიქაუტაძე, ვიტო კოლელიშვილი.



მალაო „მანგორი პირველი“ გამოყენების წესი

სამკურნალო მცენარეებისგან დაზოგადებული ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე, ეფექტური საუკეთესო სამკურნალო საშუალება. მალაო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტის, ართროზის, სასრებში მარინების დაგროვების, პოდარგის, ეფექტურია ფრჩხილების სოკოვანი დაავადების სამკურნალოდ, კოლოს ნაკენის დროს. მალაო ეფექტის მისაღებად მალაო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ - დილას და საღამოს.

მომ. ბად: 599-73-48-21

უფლებები

ფეხბურთი

30 სამეტყველო

უფასო ჩემპიონთა ლიგა

ასტანა - გლათასარაი	2:2
ატლანტიკი - ბენფიკა	1:2
გლადბახი - სიტი	1:2
ესკა - შხე	3:2
იუვენტუსი - სევილია	2:0
მალმიო - რვალი	0:2
მანჩესტერი - ვოლფსბურგი	2:1
შახტარი - შხე	0:3

მთაშხადა მსხელ ქორეოლიანმა

მამაქაშაშის გაჯანსაღების სენტი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიანი გადაგვარებაზე!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განმეორება ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკოტიკებისგან სამედიკამენტოზური დაავადებების მოხსნა. თეორიული ცხელების, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის განმეორება, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება - დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება - 0.

მის: ვებტო „ლილუა“, სათმო ქიბის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-60 პარიზი



გიორგი კანდელაკი: „ევროპაში „ქართული ოცნების“ მთავრობას განაჩენი გამოუბანას“

შორენა მარსაგიშვილი



რომ ეს დაკავებები პოლიტიკურად არის მოტივირებული.

მან სიტყვით გამოხატა იმის გამოც დაიჩვილა, რომ ნაციონალურმა მემკვიდრეობამ ადანაშაულებენ.

პედრო აგრამუნტის ნაციონალურ პოლიტიკური მემკვიდრის სტატუსი ეკა ბესელიამ უბოძა.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამ ევროსაბჭოს ასამბლეაზე სიტყვით გამოხატა განაცხადა, რომ აგრამუნტი ფიქრობს, „მისი პოლიტიკური მემკვიდრეობა“ გასამართლება არ უნდა მოხდეს.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც 16 სექტემბრით თარიღდება, წინასწარი დაკავების პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. პატიმრებს აღარ ანაშენებენ ქართულ ციხეებში, როგორც ეს სისტემატურად ხდებოდა სააკაშვილის პერიოდში. ბატონი აგრამუნტი თავის ჩარჩო-რეზოლუციაში პოლიტიკურ მემკვიდრებს შეეხო. ის ფიქრობს, რომ ისინი არ უნდა გასამართლდნენ, მაგრამ ეს მიდგომა ევროპის საბჭოსთვის მიუღებელია, - აღნიშნა ბესელიამ.

ევროპის სახალხო პარტიის წარმომადგენელს მოხსენება თედო ჯაფარიძემაც დაუწერა. პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის თქმით, ერთადერთი, ვისაც ეს მოხსენება მოეწონება, ნაციონალური მოძრაობაა.

ვაფასებ ბატონი აგრამუნტის შრომას, ვგულსხმობ ანგარიშის მომზადებას, მაგრამ ვშიშობ, ერთადერთი, ვისაც დღეს მისთვის მადლობის გადახდა სურს, ჩემი ქვეყნის ოპოზიციური პარტიაა. ეს ანგარიში შეესაბამება პარტიის ნარატივს, მაგრამ, გთხოვთ, გასოხდეთ, რომ ქვეყანა დემოკრატიული განვითარების პროცესშია, - განაცხადა თედო ჯაფარიძემ.

აგრამუნტის მომზადებული მოხსენებით ნაცემობა კმაყოფილი დარჩა. დეპუტატი გიორგი კანდელაკი განაცხადებით, ევროპაში „ქართული ოცნების“ მთავრობას პოლიტიკური განაჩენი გამოუტანეს.

კანდელაკის განცხადებით, იუსტიციის მინისტრისა და მისი თანაგუნდელების პიპერატიურმა ვიზიტმა და დეპუტატებზე ზეწოლის მცდელობამ ძალიან ბევრი დეპუტატი გააღიზიანა.

იუსტიციის მინისტრისა და მისი თანაგუნდელების პიპერატიურმა ვიზიტმა და დეპუტატებზე ზეწოლის მცდელობამ ძალიან ბევრი დეპუტატი გააღიზიანა. როგორც მოსალოდნელი იყო, მათმა ქმედებამ პირუკუ ვეფექტი გამოიღო. სწორედ ამას ასახავს კენჭისყრის შედეგები. ეს არის, პრაქტიკულად, პოლიტიკური განაჩენი ევროპაში „ქართული ოცნების“ მთავრობისთვის, - აღნიშნა დეპუტატმა.

რეზოლუციით, ბუნებრივია, უკმაყოფილო დარჩნენ მეოცნებეები. ზვიად კვაჭანტირაძემ პედრო აგრამუნტი შეაჩვენა და ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიმართ სიბრალულის გრძნობა გაუჩნდა.

აგრამუნტმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ის არის მხოლოდ თავისი პარტიის ინტერესების გამტარებელი და მე ძალიან მეცოდება ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, რომელსაც, როგორც ჩანს, ერთი წლის განმავლობაში მოუწევს მისი პრეზიდენტობის ქვეშ მუშაობა. მაგრამ მე ვფიქრობ, ჯობს, ის იყოს პრეზიდენტი, ვიდრე მართავდეს ყველაზე დიდ ფრაქციას ამ შენობაში. ნახეთ, ალბათ, რომ 400-ზე მეტი წევრიდან დღეს, ასამბლეის მე-5 დღეს, მხოლოდ 100 კაცი იყო დარბაზში. აქედან, რა თქმა უნდა, მაქსიმალურად მობილიზებული იყვნენ ევროპის სახალხო პარტიის წარმომადგენლები, - აღნიშნა კვაჭანტირაძემ.

დაგმობის შემდეგ ჩვენებურმა ევროპის სახალხო პარტია შეაქო. მან კოლეგებს შეკრულობა მოუწონა.

მათ სასიკეთოდ უნდა ითქვას, რომ შეუძლიათ, შეკრულები იყვნენ ერთმანეთთან. სმებს ითვლიან, მათ შორის ჩვენი ქვეყნის ორი წარმომადგენელი, როგორც ციხის ზედამხედველი, მთელი დღის განმავლობაში დადიოდა დარბაზში და სათითაოდ იყვნენ გადასული გამობირებას და სმების დათვლაზე, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. მთავარია ის, რომ საბოლოოდ დაესვა წერტილი უგულავას, ახალაიასა და მერაბიშვილის საკითხებს. ვთანხმდებით, რომ არავინ არ არის ამ ე.წ. ლიდერებისგან წინასწარი პატიმრობაში და მათ მისჯილი აქვთ. ამ ვერდიქტს ექვემდებარებიან აყენებს. მოხსენებელმა ნამდვილად ვერ აუარა გვერდი და თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ ყველაფერი ეს ეხება წინა პერიოდს, დღემდე არსებულ ვითარებას და ორი აზრი არ არსებობს, რომ აშკარა პროგრესი სახეზეა, - განაცხადა კვაჭანტირაძემ.

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ წინასწარი პატიმრობის ბოროტად გამოყენების შესახებ პედრო აგრამუნტის მიერ მომზადებული რეზოლუციის პროექტი დაამტკიცა.

დოკუმენტის სასარგებლოდ 89 დეპუტატმა მისცა ხმა, წინააღმდეგი წავიდა მხოლოდ 10. ანგარიშში, რომელიც პლენარულ სესიაზე თავად მისმა ავტორმა წარადგინა, მკაცრად გაკრიტიკებული საქართველოს ხელისუფლება. ქართული დელეგაციის შესწორებებთან დაკავშირებით დებატების შემდეგ კენჭისყრა გაიმართა. რეზოლუციის ტექსტში საპარლამენტო უმცირესობის ყველა შესწორება შევიდა, თუმცა მმართველი გუნდის ცვლილებებიდან ასამბლეის წევრებმა მხარი არცერთს არ დაუჭირეს.

მოსწავლის გასაღები სისტემის დედას სიხა ეხუქრება

ქალაქ რედიგის (დიდი ბრიტანეთი) საქალაქო საბჭომ სასამართლოში გამოიძახა ხუთი შვილის დედა, ტრეისი ფიდლერი. ეს კი იმის გამო გაკეთდა, რომ მისი 11 წლის შვილი, ადამი, სკოლას აცდენს. ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ბავშვი გაკეთილებების მხოლოდ 45 პროცენტს დაესწრო. ფიდლერის თქმით, მისმა შვილმა სკოლაში სიარული პრაქტიკულად იმის გამო შეწყვიტა, რომ მიიმედა განიცდიდა მამის დაღუპვას. 2014 წლის თებერვალში მას მანქანა დაეჯახა, რომელსაც მთვრალი მძღოლი მართავდა. - მამის დაღუპვის შემდეგ ჩემი უმცროსი ბიჭი შოკში აღმოჩნდა, - განაცხადა ფიდლერმა, - მას სახლიდან

გასვლა და ჩემთან განშორება არ სურს, ვინაიდან შიშობს, რომ უკან დაბრუნებულს ადგილზე აღარ დაგვხვდება. ქალის თქმით, სკოლის ხელმძღვანელობამ იცოდა ბავშვის შიშების შესახებ, მაგრამ ეს საპატიო მიზეზად არ მიიჩნია. ადამის დედა საკუთარ თავს დამნაშავედ არ მიიჩნევს. ბრიტანეთში მიღებული წესების თანახმად, ბავშვს სკოლის გაცდენა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ სერიოზულად ავად ან მისმა მშობლებმა სასწავლო დანესებულებების ხელმძღვანელებისგან წინასწარ მიიღეს ამის უფლება. სხვა დანარჩენი მიზეზები საპატიოდ არ ითვლება. მოაწვდა კახა ხატიაშვილმა

ნარკოდოქრები გათავსდნენ

ესპანეთის კურორტ კოსტა-დელ-სოლი პლაჟზე კონტრაბანდისტებმა დამსვენებლების თვალწინ ნარკოტიკების მსხვილი პარტია გადაიტანეს. დილერები ნაპირს ნავით მიადგნენ და სრულიად დაუფარავად კანაბისით სავსე ტომრები იქვე ახლოს გაჩერებულ სატივრ-

თი ავტომობილზე გადატვირთეს. თვითმხილველთა შეფასებით, ესპანეთში დაახლოებით ორი ტონა ნარკოტიკი შემოიტანეს. დამსვენებლებიდან არავინ დაურეკა პოლიციას, მაგრამ ერთ-ერთმა მთელი ეს პროცესი მობილურ ტელეფონზე ჩაიწერა და ის შემდეგ სოციალურ ქსელში ატვირთა. სხვათა შორის, მიმდინარე წელს უკვე იყო განთავსებული ანალოგიური ვიდეო. მაშინ კონტრაბანდისტები იმ მომენტში გადაიღეს, როდესაც მათი კატერი გიბრალტარის მახლობლად, სანაპიროს სიახლოვეს იყო გაჩერებული. მაშინ მათ ნახევარი ტონა კანაბისი გადმოტვირთეს. ადგილობრივი ხელისუფლების განცხადებით, მათ საკმარისი რესურსები არ გააჩნიათ, რათა სანაპირო უფრო გულდასმით გააკონტროლონ. აღსანიშნავია, რომ ესპანეთი ევროპაში სამხრეთი ამერიკიდან ნარკოტიკების კონტრაბანდის ძირითად კარიბჭედ ითვლება.

ასტრონომოფი

2 ოქტომბრისათვის

პარკი - უახლოესი მომავლისათვის, სავარაუდოდ, ახალ გეგმებს შეიმუშავებთ, რასაც მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება მოჰყვება, ოღონდ ამის შესახებ არავის მოუყვით.

პარკი - კრიტიკული დღეა. თავი შეიკავეთ ცრუ დაბრუნებებისაგან და თქვენც იოლად წურავთ მიენდობით. დღის მეორე ნახევარში ფულის ხარჯვა მოგიწევთ. **მუშაობა** - კარგი დღეა ადრე დაწყებული საქმეების დასამთავრებლად. გელით სერიოზული ცვლილებები. ვარსკვლავები თქვენ მიმართ კეთილგანწყობილი არიან. **ქორწინება** - ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაგიუმჯობესდება, თუმცა ეს მხოლოდ დიდი შრომის ფასად მიიღწევა. **ღიმი** - საქმიანი მოლაპარაკებები და შეხვედრები შესანიშნავად ჩაივლის. დღეს სამუშაო თქვენგან მაქსიმალურ კონცენტრაციას მოითხოვს. **ქალწული** - სანამ სერიოზულ გადაწყვეტილებას მიიღებთ, კარგად დაფიქრდით. თქვენი გეგმები საიდუმლოდ შეინახეთ. **სასწრაფი** - საკმაოდ რთული დღეა. ნუ იქნებით კატეგორიული. დღეს, უმჯობესია, წერილობითი საქმეებით დაკავდეთ. **ღიანაქალი** - რეალობის აღქმას ნუ დაკარგავთ. ილუზიების აყოლა მცდარ ნაბიჯს გადაგადგმევინებთ. თუ მხოლოდ საყვარელ საქმეს გააკეთებთ, ამით სარგებლობას მოუტანთ როგორც საკუთარ თავს, ისე გარემომყოფებს. **მუშაობისათვის** - დიდი ცვლილებების პერიოდი გაქვთ. პლანეტები გმფარველობენ, ოღონდ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შრომას არ დაიხარებთ. **თხის** **რკა** - ახალგაზრდობის ადამიანებისგან დიდ უსიამოვნებას ელოდებით. ნუ იქნებით ცრუმორწმუნე. **მარტოობა** - პასიური და მიმე დღეა. გიჯობთ, ამბიციების გამოვლენისაგან თავი შეიკავით. საღამოს სასიამოვნო ინფორმაციას მიიღებთ. **მუშაობა** - სურვილები გისრულდება. მოვლენები რეალურად აღიქვით და სათანადოდ დასკვნები გააკეთებთ.

გისუხვებთ ბენიხ დღეს!

კოსმოსი ბ

შვეულად: 1. თიარ თაქთაქიშვილის ოპერა; 2. საოლქო ცენტრი უკრაინაში; 3. სანადირო თოვების წარმოების ცენტრი გერმანიაში; 4. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული საფრანგეთში; 5. ხმელთაშუა და ნიუგვინიის დამაკავშირებელი ხელოვნური არხი ეგვიპტეში; 6. აეროპორტი სტოკჰოლმში; 7. ქართული იუმორისტული ჟურნალი; 8. შტატი აშშ-ში; 9. ბუდისტთა მღვდელი ჩინეთსა და იაპონიაში; 10. რიგითი მეზღვაური; 11. პურეული მცენარე; 12. ესპანელი ჩოგბურთელი მამაკაცი; 13. ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების საერთაშორისო ორგანიზაცია; 14. ნიკოლოზ ბარათაშვილის მეტსახელი.

თარაზულად: 1. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი; 2. მოძრავი სენა თეატრი; 3. ფინელი იუმორისტი მწერალი; 4. ლენინის ჩამომსხმელის, მერიქიფეს ძველი სახელწოდება; 5. უზენაესი სასამართლო თურქეთში; 6. უნგრელი კომპოზიტორი, მრავალი ოპერეტის ავტორი; 7. ხმარებიდან გამოსული ქალაქის ფული; 8. ძველებური ქართული კაუჩანი თოფი; 9. მტრედის ბარტყი; 10. ლენინის დანაღები; 11. მდინარე ევროპაში; 12. ჩაის მწარმოებელი ბრიტანული ფირმა; 13. მდინარის ძვირფასი სარენაო თევზი.

შეადგინა თ.კობაღიშვილმა

ნივა ნოქარი გამოკვეთილი კოსმოსების პასუხები:

პოსტორი ბ

შვეულად: 1. ჯაკო; 2. ესე; 3. პერინინი; 4. ლალი; 5. ბარამბო; 6. ლეგო; 7. კატორლა; 8. კიმიგაიო; 9. ლუსუნი; 10. ავაზა; 11. სვანი.

თარაზულად: 1. ჯორჯაძე; 2. სერენადა; 3. კელია; 4. კრიკი; 5. აგარა; 6. ატომი; 7. კასიო; 8. უშა; 9. იორდანე; 10. სოფიტი.

1	2	3	4	5	6
			7		
		8		9	
10		11			
		12			
	14				13
		15			
16				17	
		18		19	
		20		21	
22				23	

პოსტორი ბ

შვეულად: 1. ქანთი; 2. შიგი; 3. რიცი; 4. ფიშერი; 5. ხრანი; 6. სიმონია; 7. რაპირა; 8. დუაინი; 9. სიდრი; 10. კუბდარი; 11. მაჯონგი; 12. ბესიკი; 13. ფიკა; 14. მულო.

თარაზულად: 1. ქაშირი; 2. პიფი; 3. ცვილი; 4. შობა; 5. თეჯირი; 6. გომბორი; 7. სვია; 8. კეკასია; 9. მედეა; 10. ბობე; 11. სესია; 12. გრადუსი; 13. კოკაინი.



ოთარ ტატიშვილის შოუ დახურავს


ტელეკომპანია „მეგისტროზე“ ოთარ ტატიშვილის შოუ დახურეს. ინფორმაციას შოუს წამყვანი უკვე ადასტურებს.



როგორც ოთარ ტატიშვილი განმარტავს, გადაცემის დახურვის მიზეზი ტელეკომპანიაში მიმდინარე ცვლილებები გახდა: — ოთარ ტატიშვილის შოუს ახალი სეზონი არ იქნება, რადგან „მეგისტრომ“ გადაცემა დახურა. „მეგისტროზე“ ერთი წელი ვაკეთებ ეს გადაცემა და, ამ არხის პირობაზე, საკმაოდ კარგი რეიტინგი გვქონდა. ივლისის შუა რიცხვებში უკვე ვიცოდით, რომ შეიძლება, გადაცემა ეთერში აღარ გასულიყო, ივლისის ბოლოს კი დანამდვილებით გვითხრეს. მიზეზად დაგვისახელეს ის, რომ თანხები არ აქვთ. მოლაპარაკებები მიმდინარეობს, მაგრამ უახლოეს მომავალში არანაირი სიახლე არ იქნება.

ჟანრი ლოლაშვილი თიაბრს დაუბრუნდა

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მსახიობი ჟანრი ლოლაშვილი თეატრს დაუბრუნდა. რუსთაველის თეატრში 137-ე სეზონზე ისევ დაიდგება მასყარების ერთ-ერთი საყვარელი სპექტაკლი „კაცია-ადამიანი“!



სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი რობერტ სტურუა, რეჟისორი ანდრო ენუქიძე, მხატვარი მირიან შველიძე, კომპოზიტორი ვია ყანჩელი, მუსიკალური გამფორმებელი ის საკანდელიძე, ლოტბარი ანზორ ერქომაიშვილი, ქორეოგრაფი გოგი ალექსიძე, რეჟისორის თანაშემწე გრიგოლ თათიშვილი. სპექტაკლში ჟანრი ლოლაშვილთან ერთად მონაწილეობენ დათო დარჩია, თათული დოლიძე, მარინა კახიანი, ტრისტან სარალიძე, დავით უფლისაშვილი, დარეჯან ხარშილაძე და ნანუკა ხუსკვიძე.

ვანიკო მაჭავარიანი გარდაიცვალა

თბილისის კოლორიტი, მომღერალი, თბილისის საპატიო მოქალაქე და ანსამბლ „შვიდაცას“ დამაარსებელი ვანიკო მაჭავარიანი გარდაიცვალა.



ვანიკო მაჭავარიანი განუყოფელი ხმის ტემბრითა და შესრულების მანერით ნამდვილად გამორჩეული იყო თავისი თაობის მომღერლებში. ვანიკო მაჭავარიანი, ივიკო საყვარელიძე, მერაბ ახობაძე, მერაბ მახარაძე, თემურ ცეციტიშვილი — ეს იმ მომღერალთა პლეადაა, რომელმაც ქართულ სასიმღერო ხელოვნებაში გამორჩეული კვალი დატოვა.

სამგლოვიარო განცხადება

მაჭავარიანთა საგვარეულო კავშირი დიდი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღირსეული მამულიშვილი, მოქალაქე, საქართველოს კულტურის დამსახურებული მოღვაწე, საქვეყნოდ ცნობილი მომღერალი **ივანე (ვანიკო) მაჭავარიანი**

მეუღლე რევაზ სამყურაშვილი, შვილები კირა, რატი, დები ნუზუ, მარინე, შვილიშვილები სალომე ჭიჭინაძე, თამარ სამყურაშვილი, რძლები ეკატერინე ტოგონიძე, ნატო გოზალიშვილი, მიაა წერეთელი, მული ნანული, მახლები ლევან, ბეჟან სამყურაშვილები, მახლები ლალი ჩაველიშვილი, მანანა თოთიბაძე, სიმეონი რობერტ ჯავახიშვილი, აკაკი სამსონია, დისშვილები, მულიშვილები, მახლიშვილები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამარ იასონის ასული ღაქარიძე
პანაშვიდი: 1, 2 ოქტომბერს, 17 საათიდან, თბილისი, ფალიაშვილის ქ. №16, VII სართული (ვაკე, მრგვალ ბაღთან).
გამოსვენება: 3 ოქტომბერს, 14 საათზე, საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან.

თამარ ღაქარიძის დასაფლავების ცხრილი

ბავშვობიდან თეთრხალათიანები გზიბლავდა თურმე. როცა დედა აფთიაქში წამალზე მიდიდა და შენ გაგიყოლებდა, იქ გამეფებული სურნელი ისე მოგწონდა, დიდხანს გარეთ გამოსვლა აღარ გინდოდა. აკი, აისრულე კიდევ ოცნება, გახდი რა საყვარელი ინსტიტუტის სტუდენტი. ორმოც წელზე მეტი ჯანმრთელობის დაცვის ხადარაჯოზე იდეტი და თავდადებულად, უხანგოდ ემსახურებოდი ხალხს. შენი აფთიაქიდან გამოსული პაციენტები აღნიშნავდნენ, ქალბატონი თამარიკო ისეთ კონსულტაციას გვინეც თავის ვაკეში პრეპარატზე, ისეთ ღიმილსა და ხიბლს აყვლებს, რომ უმალვე მათი მიღება გეშველის და გეკურნავს. არ ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე მომხმარებელი უკმაყოფილო ყოფილიყო. ოჯახურ სიტუაციაში ხომ ყველასა და ყველაფრის ცენტრში იყავი, ყველას მასწავლებელი, დამრიგებელი და გზის გამკვალავი. შენით ვამაყოფდით, ვხარობდით და სულ იმედს გვისახავდი! შინ და გარეთ თავდაუზოგავმა შრომამ, ეტყობა, შემოგაპარა ავადმყოფობა. მუდამ სხვისი ჯანმრთელობის კონტროლზე მყოფმა, საკუთარი თავი ვეღარ გააკონტროლე და ვერაგმა სენმა დაგრიო ხელი. ყოველთვის შენი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ვებრძოდით, ბოლო ერთი წელი კი არ დაგკლებია როგორც ადგილობრივი, ასევე საზღვარგარეთული კლინიკები, ექიმები თუ წამალი, მაგრამ მაინც ამაო გამოდგა ყველაფერი. ნათქვამია, ღმერთსაც კარგი უნდა და 29 სექტემბერს სამუდამოდ დახუჭე თვალები! მესხდებოდით და უაღრესად დამწუხრებულნი, ჯერ ვერც კი ვაცნობიერებთ, რა ხდება ჩვენს თავს. მსუბუქი იყოს ის მინა, რომელიც თავზე დაგვეყრება! იძინე ტკბილად, ჩვენო ძვირფასო! ჩვენ არც კი ვიცით, როგორ გადავიტანო უშენობას, მაგრამ შენი ნათელი სახება მარად დაუვინყარი იქნება ჩვენთვის!

მეუღლე რევაზი, შვილები კირა, რატი სამყურაშვილები

სამგლოვიარო განცხადება მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა. 12-დან 17 საათამდე.

ლადო გულიაშვილის დაკარგული ესკიზები აღმოჩენილია

ცნობილი ქართველი მხატვრის ლადო გულიაშვილის დაკარგული ესკიზები აღმოჩენილია და ხელოვნების სასახლეშია დაცული. ხელოვნების სასახლის გენერალური დირექტორი გიორგი კალანდია აცხადებს:

— საქართველოს ხელოვნების სასახლის მზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარე არჩილ გელოვანმა პირველი ქართული მულტიპლიკაციური ფილმის „არგონავტების“ ორი ესკიზი შეიძინა. აღნიშნული ესკიზების ავტორი ლადო გულიაშვილია. აღსანიშნავია, რომ არჩილ გელოვანმა ერთი ესკიზი ხელოვნების სასახლეს უსახსოვრა. ასევე საყურადღებოა ის გარემოება, რომ ესკიზები ამ დრომდე დაკარგულად ითვლებოდა და ქართული ანიმაციის ისტორიის ამსახველი პირველი ესკიზები დღემდე არცერთ სახელმწიფო კოლექციაში არ ინახებოდა. ხელოვნების სასახლე მადლიერებით იღებს ამ საჩუქარს და აღვნიშნავთ, რომ ამ შემთხვევით უდიდესი წვლილი იქნა შეტანილი ქართული ანიმაციის ისტორიის შესწავლის საქმეში.


ლოვანმა ერთი ესკიზი ხელოვნების სასახლეს უსახსოვრა. ასევე საყურადღებოა ის გარემოება, რომ ესკიზები ამ დრომდე დაკარგულად ითვლებოდა და ქართული ანიმაციის ისტორიის ამსახველი პირველი ესკიზები დღემდე არცერთ სახელმწიფო კოლექციაში არ ინახებოდა. ხელოვნების სასახლე მადლიერებით იღებს ამ საჩუქარს და აღვნიშნავთ, რომ ამ შემთხვევით უდიდესი წვლილი იქნა შეტანილი ქართული ანიმაციის ისტორიის შესწავლის საქმეში.



ზურა ბაგალიშვილის ბოლო ფილმი კინოთეატრებში

54 წლის ასაკში გარდაცვლილი მსახიობის ზურა ბეგალიშვილის ბოლო ფილმი „კრიმინალები“ კინოთეატრებშია. კრიმინალური კომედიის რეჟისორი და სცენარისტი ბაჩო გოქაძეა.

„კრიმინალები“ — ასე ეწოდება ფილმს, რომელშიც ზურა ბეგალიშვილთან ერთად მონაწილეობენ გივი მიგრიაული, დევი ბიბილიაშვილი, გიორგი გურგულია, სანდრო მიკუჩაძე, დათო ხახიძე, ანსკე ხუფენია, ვასო ბახტაძე, გიორგი გოგუაძე, ლაშა კანკავაძე.



„დათოსა და ლაშას ზუსტად 24 საათი აქვთ იმისათვის, რომ ერთ-ერთ კრიმინალურ ავტორიტეტს დიდი ვალი დაუბრუნონ. ფილმის მთავარი გმირები, რომლებსაც ფულის კანონიერად შოვნის ყველაზარი გზა აქვთ მოჭრილი, გადანყვეტენ, პრობლემა უკანონო გზებით მოაგვარონ“, — ასეთია ახალი ქართული ფილმის სინოფისი.

ფილმისთვის სიმღერას ჯგუფი „ფრანი“ ასრულებს. მისი პრემიერა 18 ივნისს იყო დაგეგმილი, მაგრამ 13 ივნისს თბილისში მომხდარი წყალდიდობის გამო პრემიერა შემოდგომისთვის გადაიდო. ზურა ბეგალიშვილი ავტობუსში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა, ამიტომაც მას ეს ფილმი არ უნახავს და პრემიერაც მის გარეშე შედგება.

„რაის ნასოსი?!“ საქართველოს კინოთეატრებში გაეოღის

რეჟისორისა და მსახიობის გა კაჭარავას ფილმი „რაის ნასოსი?!“ საქართველოს კინოთეატრებში გამოდის. „მაიტა ნასოსის“ გაგრძელებას მასყარებელი ორ კვირაში ნახავს. გა კაჭარავამ ფილმი სოსო ჯაჭვლიანის გარეშე გადაიღო და, როგორც ახლანდელი პარლამენტარი აცხადებს, „მაიტა ნასოსის“ გაგრძელებაზე ნებართვა მისგან არ აუღია.

სანოქე იგივე სანო, ბუბა მანთაძე, შონო, დავით ქაცარავა, დათო როსტომიშვილი, ჯაბა კილაძე, ზვირა მალაქელიძე, დონარა გვრიტიშვილი, ბიძინა მახარაძე, იური მეჩითოვი, გაა ჯაჯანიძე, გივი სიხარულიძე, კაბუ.

ფილმის რეჟისორი გა კაჭარავა, მსახიობი გიორგი ვარდოსანიძე და მომღერლები ვინი ნიკლაური და დათო კნჭიაშვილი ასრულებენ. ორივე მომღერალი ფილმშიც მომღერალია, რომლებსაც ერთმანეთში შეუყვარდებათ.

ფილმის განაღებები რამდენიმე თვის განმავლობაში სვანეთში, თბილისსა და მცხეთაში მიმდინარეობდა. ინტერნეტში უკვე გავრცელდა ფილმის ტრილერი და დიდი მონონებიტაც სარგებლობს. ყველაზე ორიგინალური ფილმის სლოგანია — 15 ოქტომბერს ყველას მოგვაფსმევიანებენ!

ყველაზე მეტი დასაქმებული თბილისში, ყველაზე ნაკლები — სვანეთში

რეგიონების მიხედვით, საწარმოთა მთლიან ბრუნვაში თბილისი 71,9 პროცენტით ლიდერობს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) ინფორმაციით, რეგიონების პროცენტული მაჩვენებელი შემდეგნაირია: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა — 6,8; ქვემო ქართლი — 5,7; იმერეთი — 4,8; სამეგრელო-ზემო სვანეთი — 3,4 პროცენტით.

რეგიონები ასეთი თანმიმდევრობით ნაწილდებიან: თბილისი — 64,6; ქვემო ქართლი — 8,0; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა — 7,8; იმერეთი — 5,2; სამეგრელო-ზემო სვანეთი — 4,2 პროცენტით.

რაც შეეხება დასაქმებულთა რაოდენობას, რეგიონების მიხედვით მათი მთლიანი რაოდენობა ასეთია: თბილისი — 62,8; აჭარა — 9,2; იმერეთი — 7,9; ქვემო ქართლი — 5,9; სამეგრელო-ზემო სვანეთი — 4,5 პროცენტი. მედიანისუც



08.00 ან/ფ "ზუ" 09.00 "ეს

საქართველო 09.30 "სადილის დრო" 10.00 ტ/სერ. "ლირსა და პაპიში" 11.00 ტ/სერ. "ნანო ვაზირი" 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "შაბზე" 12.30 ტ/სერ. "ნიკიტა" 13.30 "საუკუნის პორტრეტები" 14.00 დ/ფ "აშენე უფრო დიდი" 15.00 ტ/სერ. "გორპო ლარინის საილუზიოვანი" 16.40 "ეკონომიკური" 17.00 მხ/ფ "მაქარაში" (გ.გვი) 19.30 "სიტყვების თამაში" 21.00 ტ/სერ. "გორპო ლარინის საილუზიოვანი" 22.00 ქართ. ტ/ფ. 22.20 სპორტული გადაცემა 22.50 რაბაზი. სპარტოვო — პნალი ზალადია 00.40 სპორტული გადაცემა 01.15 მხ/ფ "აპირიპალი ნაშენარი-2"

08.00, 21.00 "პრიფინგის დრო" 09.00 დ/ფ "მტკნარი წყლის ჯუნგლები" 10.00 "გოფაქტორი" 10.10 დ/ფ "ვეთილი იოს თევზნი მობრძანება სანიმუშო სოფელში" 11.00 დ/ფ "ვერობა XX დამალული ეპიდემია" 12.00 საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა 22.00 ტ/სერ. "აფოკაზანი" 23.00 "ნამდვილი დრო" 23.30 მხ/ფ "პინიალი" (ე.პოპკინსი)

06.00 სერ. "კარა" 06.30

სერ. "ზოზა ჯალი" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45, 03.30 ქრონიკა 07.35, 08.10, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "ზაზაშაინი" 11.20 სერ. "დიდი სახლის პაპარა დინასტია" 12.30 დღის შოუ 14.40, 15.55 სერ. "ორი ბული" 17.35 სერ. "საილუზიო" 18.45, 19.03 სერ. "პაპარალი" 20.55 სერ. "ნაშხაშხაშხა" 22.00 სერ. "შაშინი" 00.00 მხ/ფ "ღამის ნაშხაშხაშხა" (ს.ე.კინსი) 01.55 მხ/ფ "შაშინი პარკი" (ე.პოპკინსი) 03.40 მხ/ფ "შაშინი პარკი" (ლ.დ. ფიუნსი)

07.00, 15.40 სერ. "ლაშაი

სიშარი" 07.30 დილაშვიდობისა საქართველო 10.15 სერ. "ღინასინა" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შა დალი" 16.55 სერ. "მეგობრობაში" 18.55 სერ. "საბაგონი სს" 19.55 სერ. "მარაში" 20.50 ეროვნული ლატარია 22.00 ვინის შოუ 22.50 ქერის უბანი 23.00 სერ. "ნაში სოლის დაშაშხა" 00.00 ელტ მოდელ ლუქი 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დი-ჯესტი 03.30 მხ/ფ.

06.10 მუს.პაუზა 06.15 კვი-

რიაკე 07.20 დ/ფ "საქართველოს ისტორია-მეთექვსმეტე საუკუნე" 08.00 დღის ლილა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "ნათია" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 ლექციები მეფუტკრეობაზე "ფუტკრის ქეო" 11.25 კარაბანინი "ლაურა მანაგაძე" 12.10 პორტრეტები 13.15 ბავშვები მუზეუმში 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 14.30 დეკორატიული ფლორა "ფიკუსი" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 მულტ. ფილმი ქართული 15.40 საყვარელი ენციკლოპედია 16.10 დ/ფ "დები ტრენისის საოცარი სახლი" 16.35 მინთა-მოქმედი "მეგობრული გველიძეებიდან" 17.00 კონცერტი 18.10 განთიადის ტელეპროგრამა 18.40 ძველი ალტისის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.00 სიახლენი 19.20 ქართული ხმები-ბერძენი (სულა) 20.00 თამაზ ზეტი ისტორია 20.40 ძილი ზეზია "იუსი იზრდება" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 დროის ჩანაწერები თენგიზ ნოზაძე 22.00 სიახლენი 22.25 მოგზაურობა სამშობლოში ანანორი, ერისთავთა საგა 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მომღერალთა 23.35 დ/ფ 00.35 დ/ფ "სათავეთთან" 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე

გაუხარო 7.00, 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ტარზანი" (ფესტივალური) 7.55, 8.05, 9.05 გადაცემა "საქმიანი დილა" 10.05 სერიალი "სპინი სპინი" 11.05 სერიალი "შაში და პაპი" 12.00 "კონტაქტი ოთხ-მეტზე" 12.30, 18.30, 0.30 "ბიზნეს კონტაქტი" 14.05 სერიალი "დამარტული დრო" 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 დოკ. სერ. "პროფესია მოგზაური" 16.05, 17.05 სერიალი "ბაბინა" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05 სერიალი "თამი, რომ აღდგინოს სარ" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 ქართული სერიალი "ნაპი გარდამი" 21.30 თოქ-შოუ "მასტროს ფაქტორი" 23.00 სერიალი "ლაშაი სიყვარული" 1.30 სერიალი "ბაბინა" პროგნოზები იმეჭდება საავტორო ინფოზავრის" ნებართვით

